№ 114

შაბათი 3 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 114

შაბათი 3 ივნისი 1895

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კვირასა და ორშაბათს 4—5-ს ივნისს
გამართული იქნება
# ლატარია-ალეგრი
გასამდიდრებლად „ტფილისის მეორე გიმნაზიის დამხმარებელ საზოგადოებისა".

ამ საზოგადოების გამგე კომიტეტის თავმჯდომარე კნ. ბ. გ. ბარათაშვილისა აცხადებს რა ამას საყურადღებოდ ტფილისის საზოგადოებისა, დიდად იმედოვნებს, რომ პატივცემული საზოგადოება წელსაც, როგორც შარშან, გულ-მხურვალედ მიეგებება ამ კეთილს საქმეს და შესწირავს ნივთებს ზემოხსენებულს დამხმარებელს საზოგადოებას ლატარია-ალეგრის გასამართავად, რომლის შემოსავალი ერთიან გადაიდება ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

შემოწირულებანი მიიღება გამგე კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ბ. გ. ბარათაშვილისას, საკუთარს სახლში, რეუტოვის ქუჩაზედ და სასწავლებლის დირექტორ დრბოგლავთან, ვორონცოვის-ნაბერეჟნი ქუჩაზედ, გიმნაზიაში.

# ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 1 მაისს, ტფილისის სახაზინო თეატრის ბაღში პირველად იქმნა გამართული ვ. ლ. ფორკატის მიერ საყმაწვილო-დღესასწაული. ბაღის ზევითა მოედანი საბავშვო სათამაშოებსა ჰქონდა განსაკუთრებით დათმობილი. სალამოთი ბაღი გააჩირაღდნეს და ითამაშეს „სკოლის მასწავლებელი". გამართეს აგრეთვე ზუნდოვანი სურათები. თუმცა სალამოს ხანზედ ცოტა(?) ათი მოავდრიანდა, ბავშვები მაინც ძალიან ბლომად დაესწრნენ დღესასწაულს. დასასრულ დასწვეს შუშხუნა, რომელმაც დიდად ასიამოვნა ბავშვები. დღეს ბაღი დილის 9 საათიდგან სალამოს 8 საათამდის ღია იქნება. ბაღში შესვლა ეღირება შაური.

*** ტფილისის კადეტის კორპუსში გათავების ეგზამენები 31 მაისს დასრულდა. ამ წელს ხსენებულს სასწავლებელში სწავლა დაამთავრა სულ 42 კაცმა; იმათში ქართველი მხოლოდ რვა კაცია: მაჭავარიანი, ნაცვალიშვილი, ჩათიევი, მაჩაბელი, წიკლაური, კობიაშვილი, საგინაშვილი და თეთრუევი. ყველა ესენი სხვა-და სხვა უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებლებში მიდიან სწავლის განსაგრძობად.

როგორც ვუწყით, რუსეთის იმპერატორები ყოველთვის დიდად აფასებდნენ ქართველთა სამხედრო ნიჭს და ამ აზრით განსაკუთრებით ქართველ ყმაწვილებისათვის იქმნა დაარსებული ეს სასწავლებელი. მაშ, რისი ბრალია, ნეტა, რომ ასე ცოტას გაუთავებიათ ქართველებს სწავლა ხსენებულს სასწავლებელში? საინტერესოა, ვიცოდეთ ასე მცირე პროცენტია ქართველებისა ამ სასწავლებელში, თუ არიან და ვერა სწავლობენ?

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ."-ს ატყობინებენ: 31 მაისს აბასთუმანში მიღებულ დეპეშიდგან სჩანს, რომ ტფილისის ქალაქის თავად დამტკიცებულია ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

*** სოფ. კოშკა, (ჯავის ხეობა): მთელმა აპრილმა ისე გაიარა, რომ მზე არ გვინახავს. მაისმაც თითქმის ასე გაიარა შუა რიცხვებამდე. გულხელ დაკრებილი შეჰყურებდა ხალხი ცას. მისთვის არც ხვნა იყო და არც თესვა. თუ დანარჩენმა დღეებმაც ასე მოიშავებდინეს, თქვენი მტერი რომ ჩვენ გაჭირვებაში ჩავვარდეთ. აქ ქერის მეტი ხეირიანად სხვა არაფერი მოდის და თუ მისგანაც ხელ-ცალიერი დაგვტოვა ბუნებამ, მაშინ ქართლიდგან უნდა ვზიდოთ ცხენებით მთელი წლის სარჩო. საურმე გზა რომ მაინც გვქონოდა, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, რადგან ურმით უფრო ადვილად და ერთხანად მოვიტანდით ჰირნახულს.

*** სადგური ხაშური: ამას წინად აქ მატარებლის დაძვრის დროს ერთი კონდუქტერი ვაგონებს შუა ჩავარდა. წვიმიანი დღე იყო და შეხტომის დროს საფეხურიდგან მოუსხლტა ფეხი. მარჯვენა ფეხი შიგ მუხლში გადასწყვიტა. დაშავებული იქვე რკინის გზის საავადმყოფოში შეიყვანეს და ფეხი მოსჭრეს.

*** ტფილისის გუბერნატორს თავ. შარვაშიძეს ცხრა ამ თვეს მოელიან ტფილისში.

*** რუსეთის თოფის წამლის გამსყიდველ „საზოგადოება"-ს უნდა თურმე ტფილისის მახლობლად დააარსოს გასასყიდი თოფის წამლის საწყობი. ამ საზოგადოების წარმომადგენელს თხოვნა შეუტანია ქალაქის საბჭოში, რათა საბჭომ იჯარით მისცეს მას ორი დესეტინა ქალაქის მიწა ნავთლუღში, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად.

*** სახელმწიფო და სამიწათ-მოქმედო მინისტრთან შუა მდგომლობენ, რათა სახელმწიფო ტყიდგან მუქთად მიეცეთ ხე-ტყის მასალა ახალციხის საქალებო სასწავლებლის ასაშენებლად.

*** კვირას, 4 ივნისს, სახაზინო თეატრის ბაღში გამართული იქნება სეირნობა ბრესტ ლიტოვსკისა და სხვა ქალაქთა დამწვარ მცხოვრებლების სასარგებლოდ. ამ სეირნობაზედ განიმეორება იგივე პროგრამა და სპექტაკლი, რომელიც 1 ივნისის სეირნობაზედ შეასრულეს. აგრეთვე იქნება გამართული ჩირაღდნებით სეირნობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 80 კაცი. აუშვებენ ჰაერში დიდს ბურთს. სეირნობა დღის 12 საათზედ დაიწყება. ბილეთი ერთი აბაზი ეღირება. სეირნობა განგრძობა სალამოს 6 საათამდე. 7 საათზედ ჩირაღდნებით სეირნობა გაიმართება. თუ გავიხსენებთ 1 ივნისის სეირნობას, თამამად შევვიძლიან ვთქვათ, რომ მომავალს სეირნობასაც ხალხი ბლომად დაესწრება. წარსულს საყმაწვილო სეირნობაზედ ყმაწვილები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ და მადლობას უძღვნიან ბ. ფორკატს.

*** რედაქციამ მიიღო მეორე წიგნი ვახუშტი ბატონიშვილისა „საქართველოს გეოგრაფია,—ქართლი", გამოცემა მოსე ჯანაშვილისა. წიგნი დაბეჭდილია კარგს ქაღალდზედ, შეიცავს 103 გვერდს და ღირს ხუთი შაური.

*** სოფ. ქარელი(?), (გორის მაზრა): 26 მაისს აქ ერთი უბედურება მოხდა. ადგილობრივი მცხოვრებელი ანდრია გედევანიშვილი და მისი მოყვარე თვრამეტის წლის ყმაწვილი კაცი, წავიდნენ სანახავად მახლობელს სოფელში ნათესავებისას. აქედამ წასვლისას პატარა ლიახვში მშვიდობით გავიდნენ. ნათესავებთან (რო-

# ფელეტონი

**ნაწყვეტი.**

იქროლე, დილის ნიავო,
ლაღანა მაისისაო,
აკმივე შენი სურნელი,
ნაზო ყვავილო მთისაო,
აკვესეთ ცეცხლი ელვისა,
თვალებო მეფ(?)ნის ტბისაო,
შემასვით, მარწყვის ტუჩებო,
შარბათი სამოთხისაო!

ღ. მაჩხანელი.

**სიყვარულის შური.**

(ტუსაღის ხელთ-ნაწერი).

ფრანსუა კოპპესი.

ხვალ დილით გამივა ვადა სატუსაღოში ყოფნისა, სადაც ორი ათასი ფრანკის მოპარვის გულისათვის ჩამამწყვდიეს. ხვალ ამხსნიან საჯელსა და მით გამოვისყიდი ჩემს ცოდვასა.

დილის რვა საათზედ ჩემს ოთახში მსახური შემოვა. ის მომიტანს ჩემს ტანისამოსს, რომელიც აქ მოსვლისათანავე შემიცვალეს ტუსაღის ტანისამოსზედ. კარგად მახსოვს, ჩემი ტანისამოსი სრულიად ახალი იყო, და როცა ჩავიცვამ ეხლა, სრულებით გამოცვლილს; ხელ-ახლად წარმოსდეგი და ყმაწვილი კაცი შევიქნები. მხოლოდ ის-ღა დამრჩენია, ძირს კანტორაში ჩავიდე; იქ ჩემი გვარი უკვე ამოშლილია ტუსაღთა სიიდგან; იქ დამხვდება ჩემი მარგალიტა, რომელიც დამპირდა სატუსაღოს წინ დამხვდეს ეტლით. მაშინ სრულიად თავისუფალი ვიქმნები.

თავისუფალი ვიქმნები და კვლავ შევიძლებ დავიბრუნო დაკარგული ბედნიერება; მარგალიტამ, რომლის გულისთვისაც ეს ქურდობა ჩავიდინე, ხომ გუშინაც შემომფიცა, კვლავინდებურად მიყვარხარ და ცოლ-ქმარივით ვიცხოვრებთ ტკბილადაო. ამ უზარ-მაზარ პარიზში, სადაც ყმაწვილი კაცი მუდამ შესძლებს დაჰფაროს თვისი წარსული, ჩემის ენერგიისა და გარეგან შეხედულობის კაცი, რომელსაც იმავ დროს სავაჭრო ძარღვიც უცემს, —და ვიდრე ეს უბედურება შემემთხვეოდა, ჩემი ბატონი ხომ ამხანაგადაც მიხდიდა, ჩემისთანა კაცი-მეთქი, ბოლოს და ბოლოს უსათუოდ იშოვნის შესაფერს ადგილს. მე ვგრძნობ ჩემში შეურყეველს ვაჟკაცობას და მზადა ვარ, თუნდ სამუშაო ცხენივით ვიშრომო, ოღონდ ჩემი და მარგალიტას შენახვა შევძლო.

მაგრამ სჯობს ეს დიდი საგანი შემდგომისათვის გადავდო. ეხლა-კი ხვალინდელს დღეზედ ვიფიქროთ. მე მჯერა ხვალინდელის დღისა, და საუცხოვო რამაც არის ის. როგორც გადავდგამ ფეხს სატუსაღოს კარიდამ, ჩემს თვალებს წარმოუდგება ეტლის ბნელი კუთხიდამ გამომცქერალი, ღელვისაგან პირბად ქვეშ მიმკრთალებული სახე ლამაზის მარგალიტასი. შევუხტები ეტლში, გადავუგდებ მეეტლეს ასს სუს და ვუბრძანებ ჩქარა, ძალიან ჩქარა მიგვიყვანოს დანიშნულს ბინაზედ; ცხენები მოსხლტებიან, და მეტის სიხარულისაგან ცრემლ-მორეული მარგალიტა-კი გულზედ დამეცემა. ოჰ, რა კარგი რამ იქნება ის პირველი კოცნა!

ჩვენ დავბრუნდებით ჩვენ ქოხში, დედოფლის ქუჩაზედ, საიდამაც ლუქსემბურგის ბაღი მთლად მოსჩანს. სექტემბრის დამლევს, როდესაც ასეთი მშვენიერი, ნათელი დღეებია ხოლმე, სწორედ საუცხოვო სანახავი იქმნება ფოთოლ-შემხმარი ხეები. გაღებულ ფანჯრის წინ მაგიდას მოვუსხდებით; მზის სხივები ალერსიანად დაიწყებს ცურვას თეთრს სუფრაზედ და მასზედ მდგომარე ჭურჭელს ააბჭყრიალებს; ჩვენ მაშინ მხიარულად ვისაუზმებთ და სიყვარულით გატაცებულნი ერთმანეთს თვალს აღარ მოვაშორებთ. ჩვენს ლაყბობას იმის შესახებ, თუ შემდგომში როგორ ვიცხოვრებთ, დასასრული აღარ ექმნება. მარგალიტა დაიხამს ყავას,—მომიჯდება გვერდით; ორთავე ხელებს მხარზედ დამაწყობს, ზედ გადმოჰკიდებს თავისს მშვენიერს თავს და ასე დამიწყებს მზერას ახლო, ძალიან ახლო; მე ვიგრძნობ მარგალიტას მიმზნიდველს სუნნელოვნებას,—მისი სახეზედ გადმოყრილი თმები კოცნის სურვილს მომგვრის. მაშინ თუნდ მოვკვდე კიდეც სიხარულისაგან, რა მიშავს?!.

დიაღ! აი, რის უფლება მეძლევა ხვალ, ექვსის თვის საზარელ მარტოობის შემდგომ! აი, რის ქონვა შემიძლიან, თუ-კი მოვიწადინე:—თავისუფლების, ბედნიერების, სიყვარულისა!..

მაგრამ არა, ეს შეუძლებელია თავს მოვიკლავ იმ წამსვე, რ(?) წამსაც-კი ეს ფურცლები აიწერება, სადაც ვცდილობ ავხსნა მიზეზი ჩემის სიკვდილის მოთხოვნილებისა. ოჰ! მსახური, რომელმაც ეს ნამწვი სანთელი მომიტანა და რომლის სინათლეზედაცა ვწერ ამ სტრიქონებს, ძალიან განცვიფრდება, როდესაც გასანთავისუფლებლად მოვა ხვალ და მნახავს ერთ-ერთს ხის კოჭზედ ჩამოკიდებულს, გაყინულ-გაფშეკილს, მთლად ჩაშავებულის სახით და ენა გადმოგდებულს. თავზარი დაეცემა, არა? ეს-კი ხომ ასე იქმნება. შუაღამისას თავს ჩამოვირჩობ.

ჯერ ვიფიქროთ, ვეცადნეთ, გამოვერკვიო იმ გრძნობისაგან, რომელიც ასე მაღელვებს.

უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვტყდე, რომ სინიდისი სრულებით არ მისაყვედურებს ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულისათვის. მე, მართალია, უსინიდისოდ ვისარგებლე ნდობით, გავძარცვე კაცი, რომელიც ისე ალერსიანად, სამართლიანად მეპყრობოდა, პატიოსნურად მაჯილდოებდა შრომისათვის; ცდილობდა ჩემს მომავალზედ, მაფასებდა იმდენად, რომ ჰსურდა, გავეხადე თანამოზიარედ მისს სავაჭრო საქმეებში. მაგრამ—რისთვის დავფარო ცოდვა—მონანებას სრულებით არა ვგრძნობ. განა შემიძლიან კვლავ განვიმეორო ეს?.. დიაღ! რომ ვგრძნობდე, როგორც მაშინ, რა ნაირად თრთის მარგალიტას ხელი ჩემსაში, ან ვხედავდე, როგორ ენთება იმ ვიწრო ბრილიანტებიან სამაჯურის დანახვაზედ მისს თვალებში გაუმაძღარი სურვილი,—მე კვლავ მოვიპარავდი ასს ლუს ჩემს კასსაში, რომ მით შემეძლო მეყიდნა მისთვის ეს გასართობი ნივთი. მე ან ბოროტი ვარ და ან შეშლილი? არ ვიცი, მაგრამ უთუოდ ჩავიდენდი ამ საქმეს.

ოჰ, ეს დედაკაცი! შემიყვარდა ის უცბად, პირველს დანახვაზედვე!

მე ყველა მახსოვს. მონმარტრის ახლო ბალი იყო. ორმა ჩემმა მეგობარმა მთხოვეს წავსულიყავით. მე უარი განვაცხადე. რაღაც მცირე დაღალვასა ვგრძნობდი და მსურდა ცოტა ადრე დავწოლილიყავ; მაგრამ ისინი არ მომეშვნენ. მეც წაველი.

ორკესტრი პოლკას უკრავდა; მისს ხმაზედ რამდენიმე ქალ-ვაჟთა წყვილი დახტოდა. დანარჩენი ხალხიც როგორღაც უგნურად ბრუნავდა იქვე გაწოწლიკანავებულ თხელ ტოტებიან ხეებ ქვეშა. ძირიდამ ამოცურებულ გაზის რქის სინათლის გამო მათი ფოთლები ქაღალდზედ დახატულს

გორც მოგეხსენებათ ქართველებიც ზნე-ჩვეულება და მათი გულუხვი მასპინძლობა). ცოტა შექეიფიანებულიყვნენ და ისევ ნაღვინევნი სახლისკენ წამოსულიყვნენ. მეორე დღეს სიძემოყვარე დამრჩვალი ნახეს ლიახვში.

** სოფ. სტეფანწმიდა, (დუშეთის მაზრა): ჩვენში ცხვრის პატრონები დიდად გახარებულნი არიან, რომ განვლილს ზამთარში ცხვარი კარგად გამოკვებეს თერგისა და ყიზლარის სათემოში; ერთი სიტყვით, ჩვენში კაცი არ არის იმისი მახსოვარი, რომ ასე დაუზარალებლად და სუქნად ხევის ცხვარი ოდესმე გამოკვებულიყოს; ისეთი მატყლი მოჰყვა ცხვარს, რომ შემოდგომისას სჯობია. რომელთაც მატყლის სყიდვა-გასყიდვა ხელობად აქვთ გადაქცეული, ვურჩევთ, მატყლის სასყიდლად აქაურს ცხვრის პატრონებს მოაშურონ, რადგანაც აქ ცხვარი ეხლა სულ გაკრეჭილია და შორეულ მუშტარს ელიან; ამ წელს 10,000 ფუთამდე მატყლს გაჰყიდიან აქაური ცხვრის პატრონები.

## დამაკვირდი

საბრალუდს [illegible] მოეთხოვება გარდა შემწეობისა.

**

ადამიანი კეთილიც არის და ბოროტიც; პირველი ჩვენგან არის დამოკიდებული, ხოლო მეორესაგან ჩვენა ვართ დამოკიდებული.

**

ყოველი მოდა ორჯელ არის სასაცილო: ერთი პირველად და ერთიც ბოლოს.

## კორესპონდენცია.

ს. ლანირი, (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი არაფრით არ ჩამოუვარდება ამავე მაზრის სხვა სოფლებს: აქაური მიწის ნიადაგი ნოყიერი და ნაყოფის მომცემიანია და აგრეთვე ჰავაც კარგია. აქ საკმაოზედ ბლომად მოჰყავთ პური და სიმინდი. აქაური გლეხი, საშუალო რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ყოველ წლობით გაჰყიდის პურს, სიმინდს, თივას და ხილეულობას არა ნაკლებ ას ორმოც-დაათის მანეთისა. ს. ლანირში ოთხასი კომლი მცხოვრები ითვლება და მათ შორის თავად-აზნაურნიც საკმაოდ არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, სწავლა-განათლების მხრით შედარებით სხვა მახლობელ სოფლებთან, ეს სოფელი უკან ჩამორჩენილია. წელს აქ მოიწადინეს ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლის დაარსება, მასწავლებელიც მოიწვიეს, მაგრამ დღემდის სკოლისთვის შენობას არ აშენებენ. მასწავლებელი ბავშვებს სოფლის კანცელარიაში ასწავლის, სადაც ყოველ დღე ოთხის სოფლის ხალხი იკრიბება და უმეტეს სწავლის დროს ბავშვები ხალხის ცქერაში ატარებენ. ნუ თუ მართლა ოთხასს კომლს ლანირლებს არ შეუძლიანთ სკოლისათვის ცალკე სახლი ააშენონ, იკითხავს ვინმე. მოგახსენებთ, ბატონებო: ლანირლებს სასკოლო სახლის აშენება არ გაუჭირდებათ, მხოლოდ საქმე იმაშია, სად და რომელს ადგილზედ უნდა ააშენონ სკოლა. სამჯერ მოხდა აქ ყრილობა მაზრის უფროსის, ბოქაულისა და მამასახლისის თანადასწრებით, რომლის აზრი იყო აერჩიათ სასკოლო ადგილი, მაგრამ ჯერ მაინც ვერ მოუხერხებიათ, რადგანაც ლანირის მცხოვრებნი სამ დასად გაიყვნენ და თითოეულს მათგანს სურს სკოლა ააშენონ მათს ამორჩეულს ადგილზედ. ასე რომ ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და დღესაც დაუბოლოვებელია სასკოლო სახლის აშენების საქმე. ყრილობის დროს ერთი რიგი ხალხისა თხოულობდა და ეხლაც მსურველია, რომ ამ სოფლის შუა ადგილზედ აშენდეს სკოლის სახლი, რომელიც მართლაც შესაფერი ადგილია და ეკკლესიაზედაც ახლოს არის. ჩემის ფიქრით ამ საქმის სისრულეში მოყვანა მამასახლისს ადვილად შეუძლიან. ამ შემთხვევაში ის დიდს სამსახურს გაუწევს იმავე სოფლის მკვიდრთა და თავიდგან ააშორებს უბრალო ხარჯს და უკმაყოფილებას, რომელიც უეჭველად მოჰყვება ამ საქმეს; წინააღმდეგს შემთხვევაში, მოსალოდნელია ისეთი უთანხმოება მოხდეს ამ სკოლის თაობაზედ ლანირში, როგორიც მოხდა ათის წლის წინად მათ შორის ეკკლესიის აშენების დროს. მაშინ ლანირი ორ რიგად გაიყო და ერთის მაგივრად ორი ეკკლესია ააშენეს. ამ უთანხმოებას ის შედეგი მოჰყვა, რომ მაშინდელი სიძულვილი, შური და მტრობა ურთიერთთ შორის დღემდისაც სუფევს. იმედი გვაქვს, ვისიც რიგია, ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევს და კარგად დააბოლოვებს.

26 მაისი, 1895 წ.

## ფრიად სამწუხარო ამბავი. *)

სამწუხარო სანახავი იყო ამას წინად ალექსანდრეს ბაღში თავმოყრილი დოესელი (გორის მაზრა) გლეხკაცობა. 260 კაცი ფეხით ჩამოსულიყო იმ სიშორე მანძილიდგან და ბევრი ისეთი ღარიბ-დატაკიც მოიპოვებოდა იმათში, რომ იძულებული გამხდარიყო ფეხშიშველი ჩამოსულიყო ტფილისში. რა იყო მიზეზი, რომ ამ მუშაობის დროს ეს ბრბო მოჰშორებია სახლ-კარს, დაუნებებია მუშაობისათვის თავი და ტფილისში ჩამოსულა.

ეს მიზეზი დღეს თითქმის საყოველთაოა ჩვენის გლეხ-კაცების ცხოვრებიდგან; მაგრამ ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან-კი, როგორც ყოფილან დოესელები, ღმერთმა ყოველი გლეხ-კაცი დაიფაროს და დაიხსნას!

— ბატონო, ამბობდნენ გლეხები, გავტყავდით, აღარაფერი მოგვეპოვება ცალიერი სულის მეტი და ლამის დღეს ესეც ამოგვხადონო.

— როგორ, რა ამბავია?

— რაღა რა ამბავია, შენი ჭირიმე, ჩვენ დოესლები ორას-სამოცი კომლი გახლავართ და ესოდენი ხალხი ან სულ წყალში უნდა ჩავცვივდეთ, ან არა და აქვე მთავრობის წინაშე დავიხოცოთ თავი, თუ ცოცხლები დავრჩებით და რისთვის და რისა მქნელნი უნდა ვიყვნეთ, ბატონო, მიწა ჩვენ არა გვაქვს, სულ მებატონეებმა დაისაკუთრეს, ტყე ისე შეგვიკრეს, რომ სახრის მოჭრა არ შეგვიძლიან, წყალს არამც თუ რისამე მოსარწყავად, სასმელადაც-კი თავისუფლად არ გვანებებენ, თუ მოწყალებით როგორმე რამდენსამე დღისას მოგვახვნევინებენ, სამი წილიც იმათ მიაქვთ; ამასაც არა სჯერდებიან და რაც ღმერთს დღე გაუჩენია, სულ განუწყვეტელის ბეგარის ქვეშა ვყევართ: ხან ურემიო, ხან მუშა ხელიო და ვინ იცის კიდევ რა არა; მაგრამ ამას თუ დღე მუდმისად დიდისა და აუტანელის გაჭირვებით ვითმენდით და ვემორჩილებოდით ჩვენს მწარე ბედს, ეხლა კიდევ ყველაზედ უარესი ჩვენმა მამასახლისმა დაგვმართა. ლამის იმან ხომ სრულებით მიწასთან გაგვასწოროს: ეს ჩაფრების ფულიო, ეს გზირებისაო, ეს ყარაულებისა და ამასაც თუ ზედ თავისი ჯამაგირი და სახელმწიფო ხარჯი დავუმატეთ, მაშინ აღარ ვიცით, რომელ ერთს ჭირს გავუძლოთ, ისედაც ჭირსა და ვაგლახში მყოფებმა.

— მერე აქ რისთვის ჩამოსულხართ?

— რისთვისა, შენი ჭირიმე-და, უნდა ვეახლნეთ გუბერნატორს, შევტიროთ, შევჩივლოთ ჩვენი დარდი და მწუხარება, გვიშველოს რამე, დაგვიხსნას ამ გაჭირვებისაგან, თორემ ჩვენ ჩვენს მიწა-წყალზედ ცხოვრება აღარ შეგვიძლიან.

აი აქ ეჭირვება ჩვენს გლეხ-კაცობას ნამდვილი გულ-შემატკივარი და არა ისეთი ლიბერალები, რომელნიც ვითომც გლეხ-კაცობის გულშემატკივარნი არიან, მაგრამ თითონ უარესად აძრობენ ხოლმე ტყავს, თუ ამისი შემთხვევა მიეცათ!

ნიკო ველისციხელი.

*) ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო ეს წერილი იბეჭდება უფრო გვიან, ვიდრე უნდა დაბეჭდილიყო.

რედ.

## ორი საზარალო *).

ბ. რედაქტორო!

უნდა მოგახსენოთ ერთი რამ და მომეცით ნება თქვენის გაზეთის საშუალებით ეს ჩემი უბრალო მოსაზრება ჩვენს ხალხს გავაგებინო. ყოველ წლობით, ყოველ თვეობით გვემატება ხარჯი, გარდასახადი, ცხოვრება გაჭირდა, სო-

*) დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ უბრალო კაცისაგან გამოთქმულს გონივრულს აზრს.

რედ.

---

ემგავსებოდა. ჩვენთან მოვიდა ორი დედაკაცი. ერთი მათგანი უფრო მაღალი და შავგვრემანი იყო, საშინლად შეიხუპნილი წამლებით——ეს იყო ნამდვილი ტიპი ყავახანების ლამის სტუმართა და ნაცნობი ერთის ჩემის მეგობრისა. იმან სრულიად ურცხვად გვთხოვა ღვინოზე დაგვეპატიჟნა. მოვუსხედით მაგიდას; მე მეორე ქალის გვერდით მოვხვდი. ის იყო ქერა; მისმა ნაზმა, მიმზიდველმა სახემ და თავდაჭერილმა მორცხვმა ქცევამ სრულებით მომხიბლა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის სულ ცოტა ხნის გამოსული იყო ამგვარს ბალებსა და ხალხში. იმისს ტანს არავითარი ძვირფასი სამკაული არ ამშვენებდა; ტანთ ეცვა ძალიან ნახმარი, შავი კაბა, სწორედ ისეთი, როგორსაც ატარებს ხოლმე ყველა პატიოსანი გასათხოვარი ქალი.

მხოლოდ ვარდის ფერი ფრთა ქუდზედ აძლევდა ყველას ნებასა, ეთქვა: ,,წავიდეთ, ვივახშმოთ''-ო. სწორედ დუქნის ზედ-წარწერა იყო ეს ქუდი.

დავიწყეთ ლაპარაკი; ხმაც ისეთივე ნაზი ჰქონდა, როგორც შეხედულობა. ის სრულებით არ იყო სხვებსავით უთავბოლო—თავდაუჭერელ ლანდარობის მოყვარული. ერთი ჩემ მეგობართაგანი როგორღაც უზრდელად გაეალერსა; მან უპასუხა ძალდატანებითის ღიმილით, ღიმილით, რომელშიაც ისე კარგად გამოხატა ზრდილობაც, მორჩილებაც და იმავ დროს სიძულვილიც. იმისი მზედულობა სიყვარულსაც უბადავდა ადამიანს გულში და სიბრალულსაცა. მისს მზერაში, თუმცა მე პოეტური არა მომეპოვება-რა, წყვდიადში ჩასახული ვარსკვლავი წარმომიდგა თვალ-წინ. პირველივე კოცნა, რომელიც მოვტაცე მას ბალიდამ გამოსვლისა და ეტლში ჩასხდომის დროს, როგორღაც ნაზი და გულგამაერთებელი გამოდგა.

მერმე ის ერთად გატარებული ღამე! ოჰ, ვგონებ, ეხლაც-კი ვგრძნობ იმის ცრემლების სიმხურვალეს, როდესაც ის, ჩემს მხარზედ დაყრდნობილი, ქვითინით მიამბობდა პარისის ტროტუარებზედ ხეტიალში გატარებულს ყმაწვილობის ამბავს,—მიწერდა თავისს გლახურს ცხოვრებას და სანანურს, აუცილებელს დაცემასა!.. აღარ გასულა დიდი ხანი ამ ღამის შემდგომ, და მარგალიტა გამოვტაცე ამ სამარცხვინო ბინძურს ცხოვრებას. ეხლა ის ჩემთანა სცხოვრებდა.

ეს სისულელე იყო. მთელს ჩემს შემოსავალს მაშინ შეადგენდა „პტისენ-ჟერმენის“ კასირის ჯამაგირი. იქნება მარგალიტას რომ ოჯახის მოვლისა და გაფრთხილების შნო ჰქონოდა, კიდევ როგორმე მოვიყვანდით საქმეს საქმეზედ. მაგრამ მას ოჯახობისა არა გაეგებოდა-რა. ბუნებით წყნარი, ფიცხის ხასიათის პატრონი და გულ-ცივი, ის გაჰყვა გარყვნილობას უფრო სისუსტით, ვიდრე სურვილით. მარგალიტა იყო ნამდვილი შვილი პარისისა, ზარმაცი და ფალას-ჩვრების მაღმერთებელი; უყვარდა შუადღემდის ლოგინში განცხრომა, რომანების კითხვა და მზა იყო მთელი კვირა სალათა ეჭამა, ოღონდ აბრეშუმის წინდები ეყიდნა.

ჩემი პატარა ოჯახობა მალე სრულებით აირივ-დაირია. საღამოთი, როცა-კი მაღაზიიდგან ვბრუნდებოდი, ის ხშირად ისევ სადილად ხალათში და ფეხების დახუჭუჭებაში დამხვდებოდა ხოლმე გართობილი. მარგალიტა სრულებით არც-კი ჰფიქრობდა ამ დროს ვახშამზედ, და საუზმის სასყიდლად ისევ მეკარის ცოლსა ვგზავნიდი ხოლმე.

როდესაც-კი შენიშვნას მივცემდი ჩემს საყვარელს, ის სრულებით გაუჯავრებლად და მრკლედ მიპასუხებდა ხოლმე: —„მე ვიცი, შენ ჩემისთანა დედაკაცი არ შეგფერის... მაგრამ რა ვუყოთ?... გინდა, თავი დამანებე. მე ამაზედ ვერ გისაყვედურებ“.

ამის შემდეგ ველარას ვეუბნებოდი და ცეცხლივით ვენთებოდი იმ წარმოდგენით, რომ მარგალიტა სრულებით არ მაფასებდა, მაშინ როდესაც უიმისოდ სიცოცხლე არ შემეძლო.

თავი დავანებო? ვფიქრობდი ხანდისხან პირველ ხნებში. მაგრამ ის ფიქრი, რომ როგორც წავიდოდა ჩემგან, მაშინვე იმ ტალახ-წუმპეში ჩაიფლებოდა, საიდგანაც ამოვიყვანე,—რომ პირველივე კაცი, რომელიც შეჰხვდებოდა, წაიყვანდა მას თავისთან ერთისა ან ორის ფრანკის სასყიდლით,—ოჰ! ეს ფიქრი ჩემთვის აუტანელი რამ იყო. გავშორდე მას?! მაგრამ საკმაო იყო, წარმომედგინა, რომ დილაზედ, როდესაც გავიღვიძებდი, ვეღარ ვიგრძნობდი მისს ტანის სითბოს, და გული მისუსტდებოდა ხოლმე. რამდენიმე კვირის განმავლობაში ამ დედაკაცის სიყვარული ვნებად გარდამექცა; ჩვეულებამ კიდევ იქამდის გააძლიერა ეს ვნება, რომ მისი უარ-ყოფა შეუძლებელი-ღა იყო ჩემთვის.

მიყვარდა იგი!—მიყვარდა! იმან სრულებით დაიმორჩილა ჩემი არსება.

როდესაც მარგალიტა გავიცანი, ის ერთ ჭუჭყიან სასტუმროს ნომერში სცხოვრებდა. მას ჰქონდა მაშინ: მცირეოდენი თეთრეული, ერთი ხელი ღარიბული ტანსაცმელი, რომელიც მუდამ ზედ ეცვა და ქუდი იმ ვარდის ფერ ფრთიანი, როგორსაც იხურავენ როსკიპთა ბალებზედ ქალები. მარგალიტასათვის ეხლა კარგად და პატიოსნურად ჩაცმა იყო საჭირო. ამას მოვახმარე მთლად ჩემი ფულები და ვალშიაც შევტოპე. ამას დავუმატოთ მარგალიტას უწესობა, მის უზრუნველობა და ახალი ხარჯი მისი გასართობად გამოწვეული, მაგ. თეატრი, ყავა-კონცერტებზედ სიარული, რადგანაც მეშინოდა, არ მოსწყენოდა, არ წასულიყო, — და ყველა ამან დაამთავრა ჩემი დაღუპვა. ნისიები სისწრაფით იზრდებოდა და ბევრი ჩემი მეგობრის ვალიც დამედო. მარგალიტას მაინც არას ვეუბნებოდი.

რა იქნებოდა შემდგომში? მე წინადვე ვგრძნობდი, რომ ერთ დროს მარგალიტა მომმართავდა თავისის წყნარისა დამორჩილის ხმით:—„რაღა ვაკეთო აქ?—გავშორდეთ ერთმანეთსო“.

მე მაინც ვცდილობდი, ფიქრადაც არ წარმომედგინა ეს აუცილებელი უბედურება, და ჩემს მარგალიტას მუდამ უდარდელად და მხიარულად ვაჩვენებდი თავს, ვართობდი, როგორც-კი შემეძლო ჩემის შემოსავლის პატრონს; მაგრამ სულის სიღრმეში-კი ვშიშობდი მომავალზედ.

ამ რიგად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი კაცი ქაღალდის თამაშობას მიჰყოფს ხოლმე ხელს, და ჩემთვის-კი მით უფრო საადვილო იყო ეს, რომ „პტი-სენ-ჟერმენის“ მსახურნი ხშირად ჰკბედობდნენ ხოლმე ჩემთან თავანთ მოგება-წაგებებზედ დოღებში, რომლის არც ერთი მოვლენა არ ჩაივლიდა ხოლმე უიმათ-ყურადღებოდ. ერთხელ აბრეშუმეულ საქონლის განყოფილების უფროსმა, რომელიც მუდამ იგებდა სანაძლეოებსა, გარდაწყვეტით წარმოსთქვა, თუ გამარჯვება ვის მხარეზედ იქნებოდა მომავალს მარულაში. ეს, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, მისთვის ერთს ცხენების მხედარს ეცნობებინა,—ვიცი ნამდვილი შედეგი ამ დოღისაო, ამბობდა book—makerc ების დაბეჯითებულ კილოთი განყოფილების უფროსი. ამ ცნობებიდამ ყველასაგან უცნობს ცხენს გრან დესელს უნდა აეღო პირველი ჯილდო და მისს მომხრე მონაძლევე პირთ ხომ ჩამოსულ სანაძლეოზედ ათ-ჯერ-მეტი. ტყუილად სცდილობდა მეორე მსახური

ფელი, ქალაქი დავალიანდა. ხოლერა, კალია, სეტყვა, ყველაფერი სენი ჩვენ გვმტრობს და ზარალს გვაძლევს. აიჩეხა ტყეები, გახმა საძოვარი—გაჩნდა საქონლის ჭირი—სამუშაოს ვერა ვშოულობთ—სურსათი გვაკლდება და ჩვენი ხალხი, ჩვენი სოფელი კიდევ ბევრს მავნებელს ჩვეულებებს ეწევა და კიდევ უფრო ღარიბდება და იღუპება! დროა, ბატონო, მივხვდეთ, რომ ეგრე ჩვენი ყოფა აღარ შეიძლება,—თორემ ყველა ჩვენ გვაჯობებს, ყოველი ხალხი წინ წაგვისწრებს და სულ გავქრებით. მე ჩემის უბრალო გონებით ვურჩევ ჩვენს სოფელს, ჩვენს ხალხს, ორი ისეთი ჩვეულება მაინც მოსპოს, რომლის მოსპობით არა დააკლდება რა და ბევრი-კი შეეძინება: 1) რა საჭიროა, ბატონო, ეგ გაუთავებელი ქორწილი რომ ვიცით სოფელში! სამს დღეს უნდა გავცდეთ, სამი დღე უნდა ვიმთვრალოთ, მთელი წლის საკმაო ღვინო, სურსათი სამს დღეს უნდა გავათავოთ და როდესაც ბოქაულები მოგვადგებიან სახელმწიფო გადასახადისათვის—უკანასკნელი ძროხა, ხარი, კამეჩი უნდა გავყიდონ! სამართალია და ჭკუა არის აქ? არა, ჩემო ბატონო, და ამისათვის გააგებინეთ ჩვენს ხალხს ჩემი რჩევა, რომ მოსპონ, ეს სამი დღის ლხინი იკმარონ ერთი დღით. აღარ არის, ბატონო, ჩვენში მხორულებისა და ვარხალალის მოძახილის დრო!.. მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ!

მეორეც ისა, ბატონო, რომ: რა უბედურებაა ოჯახში თუ ვინმე გარდაიცვალა, მიცვალებულს მთელს ოჯახს სამარეში ატანენ: ეს ორმოციო, ეს წლის თავიო და სხ. უნდა მთელს სოფელს მოუწოდონ და აუარებელი ხარჯი გასწიონ... [illegible] ისიც კმარა, რომ [illegible] საჭიროა? [illegible]ბულს პატივი-სცეს სოფელმა [illegible]სვენების დროს, მიაბაროს სამარეს და თავ თავისს სამუშაოზედ წავიდეს. რაღა საჭიროა ორმოცი, წლის თავი, ამდენი ხარჯი, დროს დაკარგვა!.. ეს არის, ბატონო, ჩემი გულის-წუხილი და ამასა ვთხოვ მღვდლებს, სოფლის მასწავლებელთ, აუხილონ თვალი სოფელს, დაარიგონ, ურჩიონ ეგრე ნუ ჰმოქმედებენ.

გლეხი პავლე ოდიკაძე.

## რუსეთის ცხოვრება.

—

„რუსკ. ვედომ."-ს გაუგონია, რომ რუსეთსა და საბერძნეთს შუა სავაჭრო კავშირის შეკვრის შესახებ პროექტი უკვე შემუშავებულა და მალე წარედგინება დასამტკიცებლად ორსავე სახელმწიფოთა მთავრობათ.

—

ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს" გამოცემის ნება გარდაეცა ცნობილს რუსის ბელეტრისტს ვლადიმირ კოროლენკოს.

—

მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტს ნება მიეცა საკუთარი ჟურნალი ჰბეჭდოს. ჟურნალი გამოვა წელიწადში ოთხჯერ პროფესორების ვილიამსისა და როსტოვცოვის რედაქტორობით და ეღირება ხუთი მან. წელიწადში. ახალი სამეურნეო ჟურნალი უთუოდ საინტერესო იქნება.

—

სახელმწიფო საბჭოს სხდომები 29 მაისს შეწყდა.

—

პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, [ქა]ლთა საექიმო ინსტიტუტი 1897 [წ]ელს გაიხსნება. ამბობენ ინსტიტუტ[ში] არა ქრისტიანთ არ მიიღებენო.

—

„ნოვ. ვრემ."-ს უკანასკნელ ბიულეტენებიდგან სჩანს, რომ სამხედრო მინისტრი ვანოვსკი უკეთ გრძნობს [თ]ავის თავს.

## ნარკვევი

ოსმალეთის პასუხმა სომხეთში [რე]ფორმების შემოღების შესახებ არ დააკმაყოფილა ევროპის სახელმწიფოები. ნამეტურ ინგლისის პრესაა გაჯავრებული და სამინისტროს გაზეთი „დეილი ნიუზი" საომრადაც იწვევს ევროპის სამს სახელმწიფოს. ცხადია,—ამბობს გაზეთი—ოსმალეთი ყურადღებას არ აქცევს ევროპის შუამავლობას; ახლავ უნდა გავგზავნოთ სამხედრო გემები ოსმალეთისაკენ და დემონსტრაციით იქნება დავიყოლიოთ ოსმალეთი; თუ ამანაც არ გასჭრა, მაშინ ცხადი იქნება ყველასათვის, რომ დადგა დრო სრულიად მოისპოს ოსმალეთის ბატონობა ქრისტიან ერებზედ და შესდგეს სრულიად სხვა პოლიტიკური კომბინაციაო. რუსული გაზეთები სხვა კილოთი ეხებიან ამ საგანს. მაგალითად, „ნოვ. ვრ," ეწინააღმდეგება ინგლისურს პრესას, არა სწამს მისი გულ-წრფელობა და გვარწმუნებს ინგლისს სულ სხვა დარდი აწუხებსო:

„ინგლისს ჰსურს უფრო ამაღლოს თვისის ძლევა-მოსილობის სახელი აღმოსავლეთის ქვეყნებში".

მაგრამ ნუ ჰგონია ინგლისსაო, განაგრძობს სუვორინის გაზეთი, რომ რუსეთი დაიყოლიოს და მის შემწეობით თვისი საქმე გააკეთოს და განზრახვა აასრულოსო! ჩვენის ფიქრით საკმარისია ვეცადნეთ კონფერენციის მოწვევა და ეს კონფერენცია შესძლებს დაიყოლიოს ოსმალეთი რეფორმები შემოღებინოსო. ევროპის სახელმწიფონი, რომელთაც მოაწერეს ხელი ბერლინის ტრაქტატზე, ერთნაირს მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში და მარტო ინგლისს არ აასრულებინებენ დიდს როლსაო.

ერთის სიტყვით საქმე იხლართება და ევროპაში კვლავ აღორძინდა „აღმოსავლეთის კითხვა".

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** გაზეთები ურჩევენ მთავრობას, რომ მან ისარგებლოს საქმის წინდელ ვითარებით, მიიმხროს რუსეთი და საფრანგეთი ოსმალეთის წინააღმდეგ და მით განაძლიეროს ინგლისისადმი პატივისცემა აღმოსავლეთ ევროპაში და საზოგადოდ მთელს ქვეყანაში. ზოგიერთი გაზეთები-კი დიდად განრისხებულნი არიან ოსმალეთზედ, რადგანაც მან უარი განაცხადა ინგლისის მიერ წარდგენილ წეს-წყობილების შემოღებისა სომხეთში. ეს გაზეთები იმასაც ამბობენ, რომ ოსმალეთის თვით-მპყრობელობა უნდა გაუქმდეს და მის მაგიერ დაარსდეს ,,ახალი პოლიტიკური კომბინაციაო''.

—

**ოსმალეთი.** სოფიიდგან ატყობინებენ დეპეშით გაზ. „სტანდარდ-ს, რომ მაკედონელი ბულგარნი უჩივიან ოსმალეთის მთავრობას შევიწროებას და, რადგანაც დახმარებას არსაიდგან მოელიან, განზრახვა აქვთ ამ ზაფხულს აჯანყება მოახდინონ, რომ ამით ოსმალეთის მხრივ მკაცრი საშუალებანი გამოიწვიონ აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომლის შემდეგაც ბულგარია უთუოდ მიეშველება მაკედონელს ბულგარელებსაო. ეს ამბავი ამართლებს ამას წინად გაზეთებში გავრცელებულს ხმას, რომ სომეხთა თანამგრძნობელ ინგლისელთ განზრახვა აქვთ მაკედონიაში თვისი აგიტაცია გაავრცელონ, რათა ამით აღმოსავლეთს ევროპაში ოსმალეთს შეაბრძოლონ რუსეთიო.

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთში ამ ჟამად დიდი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ შემოსავლის დაგვარად იქმნას დადებული გარდასახადი, რაც კარგი ხანია პრუსიაში შემოღებულია. ამ გარდასახადს დიდს წინააღმდეგობას უწევენ უმაღლესს საპოლიტიკო წრეებში, მაგრამ მომხრენიც ბევრი ჰყავს პარლამენტის პროგრესისტთა შორის, ამ მიმართულების თვალ-საჩინო წარმომადგენლად ირიცხება ამ ჟამად ნიჭიერი დეპუტატი და მინისტრად ნამყოფი გოდფრუა კავენიაკი. გოდფრუა ურჩევს იმ წესით იქმნას საფრანგეთში შემოღებული გარდასახადი, როგორითაც პრუსსიაში არსებობს.

## ბიბლიოგრაფია.

—

დ. ბარნეტ სმიტმა გამოსცა წიგნი „გლადსტონის აზრი", რომელშიაც მოთავსებულია გლადსტონის თხზულებათა და სიტყვათა ნაწყვეტები სხვა-და-სხვა საგნების შესახებ. ეს ნაწყვეტები ათ ნაწილად განიყოფებიან, იმის მიხედვით, თუ რომელს საგანს შეჰხებია გლადსტონი: არის სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ნაწილი, ბიოგრაფიული (სადაც გლადსტონი შეჰხებია სხვა-და-სხვა მოღვაწეთ), ფილოსოფიური, აკადემიური, ეროვნული, საერთა-შორისო, სალიტერატურო და პოეზია (საბერძნეთი

---

განყოფილებისა საზოგადოების საყვარელ ცხენის „ყვავის შვილიანის" ღირსებანი დაენახვინებინა, — პირველი მაინც თავისს აზრზედ იდგა და რაღაცა საიდუმლოებითის სახით უამბობდა იქ მყოფთ გრენ-დე-სელის ჭუჭყიანს გომურს ინტრიგას. ამ მარულაში უფრო ცნობილი ცხენების მოყვარულნიც იყვნენ ჩარეულნი, და უფროსის აზრით გამარჯვება ამ დოღში გრენ დე-სელს უნდა დარჩომოდა.

განყოფილების უფროსის ასეთმა იმედმა ცოტა არ იყოს წამაქეზა.

— ოჰ, რომ ის ხუთას ფრანკიანი ბილეთი ქისაში მქონდეს, რომელიც მარგალიტას გადმოსვლისასა მქონდა —ვიფიქრე მე; უთუოდ გავბედავდი და... სანაძლეოზედ ათჯერ მეტი მოგება! ჰმ! ეს ხომ მაშინ ხუთი-ათასი ფრანკი იქმნებოდა!.. ყველა ვალებს გავისტუმრებდი და მშვიდობიანად და კმაყოფილადაც დავისაკუთრებდი მრავალ თვეობით ჩემს საყვარელს მარგალიტას".

მაგრამ ჩემს ქისაში იმ ჟამად სულ ორი ლუიდორი ღა იდვა,—მე მხრების შეშმუშნით გავფანტე მაშინვე ეს უგუნური ოცნება.

თუმცა ჩემი ქისა ამ ბოლო დროს ძალიან შეთხელდა, მე მაინც პირობა მქონდა მიცემული, მარგალიტა ფოლი-ბერჟეში წამეყვანა. აქ რაღაცა ახალი კლოუნები (მასხარები) ასხამდნენ თავბრუს ხალხსა. მე და მარგალიტა იმ საღამოთი ხელი-ხელს გაყრილნი მივდიოდით ქუჩით, რომ ეტლის ფული ჯიბეში დამრჩენოდა. ასე ხელ-გა[ყრ]ილნი მი[illegible] პალე-როიალში. მაგრამ მარგალიტა დედაკაცი არ იქმნებოდა, რომ ოქრომჭედლის შუშაბანდის წინ არ შემდგარიყო და დიდხანს არ ეთვალიერებინა იქ გამოფენილი ნივთები. მარგალიტამ დამანახვა შუშაბანდს იქით გამოფენილი ბრილიანტებით მოჭედილი ვიწრო სამაჯური, რომელსაც სხვებზედ მეტად მიეპყრო მისი ყურადღება.

— „როგორ ჰფიქრობ, რა ეღირება ეს პაწია სამაჯური?"

— ო! ო! [ო]რმოცდა ათი ლუი მაინც—მივუგე მე. ნაკლებ-კი არო-დეს.

მარგალიტა ულ-დაწყვეტით მოსცილდა შუშაბანდს და უკანასკნელად-ღა გადაავლო თვალი.

— კმარა! წავიდეთ,—სთქვა ბოლოს მარგალიტამ, ასეთი სათამაშოები ჩვენთვის არ არის გაკეთებული!"

სწორედ ამ ჟამს, ერთს იმ წამთაგანს, როდესაც მთელი მომავალი ელვასავით გაანათებს ხოლმე თქვენ თვალ-წინ, მე უცბად მომაგონდა ამხანაგისაგან გრენ-დე-სელზე ნაამბობი ინტრიგა, რომლიდგან აუცილებელი გამარჯვება „გრენ-დე-სელისა", და გული რაღაცა ცთუნების გრძნობამ შემხუთა; [მ]ე ვფიქრობდი, მომეპარნა კასიდგან ორი ათასი ფრანკი, მეყიდა მარგალიტასთვის ეს სამაჯური და დანარჩენითაც ბედი მეცადნა დოღში. მე ეხლა ღალატის საშუალებებზედ-ღა ვფიქრობდი: ქურდობა უნდა დაფარულიყო რამდენსამე დღეს, რომ შემდგომში ის[ე] [illegible] ჟამად დამებრუნებინა კასისათვის ის ფული, თუ რომ დოღში მოვიგებდი. იმ ჟამად მე სრულიად თავისუფლად ვგრძნობდი ჩემს თავს; მე აღარ მაწუხებდა არავითარი ცხოვრების გაჭირვება, რადგანაც ჩემმა მდიდარმა ოცნებამ ჯიბეები ოქროთი დამიტენა. ეხლა მე ვგრძნობდი, რომ საგანგებოდ ტკბილ სადილის შემდგომ მარგალიტასთან ვარ;—არა! აგერ ჩვენ ერთ პატარა თეატრის ლოჟაში ვსხედვართ, სადაც დაჩრდილულ კუთხიდამ მარგალიტას ხუჭუჭს თმას დავცქერი; მე ისე ახლო ვარ, რომ ათრთოლებულის ტუჩებით კიდევაც ვეხები მისს ხუჭუჭებს!....

ყველა ამან, ვიდრე მარგალიტა იმ ძვირფასს სამაჯურს მოაშორებდა თვალს, ერთის თვალის დახამხამებაზე გამირბინა უცბად თავში.

ეხლა მე თითქმის მივარბენინებდი მარგალიტას და მაგრა მეჭირა იმისი ხელი ჩემსაში. გული თითქოს გამიგანიერდა და ღრმად და ხშირად დამიწყო ცემა. ბოლოს-კი რაღაცა მწარე ფიქრმა გამიელვა.

„მაგრამ რომ ვერ მოვიგო!"

მე გვერდზედ შევხედე ჩემს თანამგზავრს. საბედნიეროდ ის იმ ჟამად მაღაზიებისაკენ იყურებოდა და ვერ შემნიშნა. ოქრომჭედლის შუშაბანდში დავინახე საზარელი სახე უგუნურისა; ის სახე ჩემსასა ჰგავდა.

მაგრამ თავი მალე შევიმაგრე ერთის ძალდატანებით.

მერე, რა ვუყოთ თუ ვერ მოვიგებ?... წელში მოვიხრები, თავს დაბლა დავკიდებ და დამნაშავეთა სკამზედ დავჯდები; დამატუსაღებენ, გამგზავნიან, იქნება მაღნებში სამუშაოდაც... გაუბედველობით არა იქმნება რა; სამაგიეროდ იმ დედაკაცს მაინც დავუმტკიცებ ჩემს სიყვარულს, რომელმაც მე ასე ძლიერად დამიმორჩილა და მე-კი ვერაფერთ მოვულბე გულზედ ყინული; მე მივცემ მას ისეთს საზარს საბუთს ჩემის სიყვარულისას, რომ იქმნება შემდგომში თითონაც შემიყვაროს, იქმნება იგრძნოს მწუხარება და ტკივილი, როდესაც შეიტყობს, რომ იმის გულისათვის ქურდობაც-კი ჩავიდინე, თუმცა ის ამ ჟამად დაცემული დედაკაცია!...

მაგრამ დრონი მიჰქრიან... რა საჭიროა იმ ზნეობითის ქარიშხლის დახატვა, რომელმაც ჩემი პატიოსნება შებღალა? რა საჭიროა, მოგითხროთ ის, როგორ ჩავიდინე ქურდობა, რა საშინელს ტანჯვასა ვგრძნობდი, როდესაც ორი ცხენი დანიშნულს ბოძს უახლოვდებოდა,--იმოდა მხედრების ცხარე მათრახის ცემა და ხალხში „ყვავის შვილიანის" აღტაცებული მიგებება, რომელმაც მთელის თავით გაასწრო „გრენ-დე-სელსა"? ეხლა ჩემი დანაშაული გამოაშკარავებული იყო: მე დამატყვევეს, გამასამართლეს, გამამტყუნეს და სატუსაღოში მაკვრევინეს თავი, სადაც უარესი ტანჯვა-წვალება გამოვიარე და საიდამაც მხოლოდ მკვდარი გამოვალ.

ოჰ? დიახ, ეს ტანჯვა უარესი იყო! ეს სრულებით არ იყო სინიდისის მხილება,—მე არა ვწუხდი თავისუფლების დაკარგვას,—არ მაშფოთებდა სხვა ავაზაკებთან ერთად ტყვეობა. არა! უფრო მძიმესა და საზარელს ტანჯვასა ვგრძნობდი,—ეს იყო იჭვნეულობის ტანჯვა!..

ჯერ არ გამომეცადა ეს სასტიკი გრძნობა, და მარგალიტასკი, რომელმაც მთელი ხუთი თვე დაჰყო ჩემთანა, ერთხელაც არ აღუძრავს ჩემში ეს გრძნობა. მიუზიდველი და შინ ჯდომის მოყვარული ის მთელი დღეობით იჯდა ხოლმე მარტოდ-მარტო სახლში,—ეს მე ნამდვილად ვიცოდი; საღამობით-კი, როდესაც ერთად გამოვდიოდით სახლიდამ, ერთხელაც არ შემინიშნავს, რომ მარგალიტას შეეხედოს ვისთვისმე ისე ალერსიანად, როგორც ხშირად ყოვლად პატიოსანი ცოლიცკი, როდესაც ის ქმართან ერთად მიდის ხელ-გაყრილი, აძლევს ნებას თავისს თავს, თუ-კი შეატყო კაცს, რომ იგი მოსწონს. მარგალიტაში იოტის ტოლა პრანჭვა-გრეხაც-კი არ მოიპოვებოდა.

ამიხდა ჩემი ფიქრი. ამ დანაშაულმა მარგალიტა საშინლად შეაძრწუნა: იმან ნათლად დაინახა ამ ჩემს საქციელში ჩემი მისდამი სიყვარული. სასამართლოში ის ცხარე ცრემლით ტიროდა, და ჩემის დაღუპვის მიზეზად თავისს თავს აღიარებდა. მარგალიტას მისცეს ნება ჩემის ნახვისა და ის დის სახელით მოვიდა კიდეც სატუსაღოში; დავინახე მისი მწუხარებისაგან მიმკრთალებული სახე მოაჯირს იქით. ამასაც ვეღირსე; ეხლა მარგალიტას უეჭველად ვუყვარდი! ამაში ღრმად ვიყავ დარწმუნებული.

ინ-ანი.

(დასასრული იქნება.)

და ჰომიროსი), ხელოვნება და სხვანი. როდესაც სმიტის კრებულს ათვალიერებთ, გაკვირვებული ხართ, რამდენს სხვა-და-სხვა საგანს შეჰხებია იმ საგნის გარდა, რომელსაც განსაკუთრებით ემსახურებოდა გლადსტონი (კრებულში არ არის მოთავსებული არაფერი გლადსტონისა პოლიტიკის შესახებ).

## წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც ჩემდა სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენა ქ. ქუთაისს 28 მაისს, რომლიდგანაც წმინდა შემოსავალი 227 მ. და 71 კაპ. დარჩა ჩემდა სასარგებლოდ. უგულითადესს მადლობას ვუძღვნი როგორც გამგეს წარმოდგენისას კნყ. დადიანს, აგრეთვე ადგილობრივ დრამატიულ დასს, რომელმაც უსასყიდლოდ გამართა წარმოდგენა და ყველა იმათ, ვინც-კი მონაწილეობა მიიღო ამ წარმოდგენის გამართვაში, ან ბილეთების გასყიდვით, ან სხვა გვარ დახმარებით.

მოწაფე ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა მ. დ.

# დეპეშა

„ტფილისის ფურცლისა“.

**პეტერბურგი,** 31 მაისი. სომეხთა პატრიახი-კათალიკოსი მკრტიჩი 1 მათს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფა იმპერატრიცას წარუდგა დღეს პეტერგოფის სასახლეში.

დილის მეათე საათზედ კათალიკოსი თვისის ამალით ბალტის რკინის გზის ვოკზალზედ მივიდა, სადაც მიეგებნენ მას ცერემონიიმეისტერი და გამგე საცერემონიალო ექსპედიციისა. კათალიკოსი ვოკზალიდგან დიდის ამბით მიაცილეს სასახლემდის შემდეგის წეს-რიგით: ორს ეტლში ისხდნენ სასულიერო პირნი, რომელთაც ერთს მხარეს ეჭირათ საეკკლესიო დროშა და კათალიკოსის სკიპტრა, ხოლო მეორე მხარეს პატრიარხის კვერთხი; შემდეგ კათალიკოსი ჩაჯდა იმპერატორის ალექსანდრე II-ის სადღესასწაულო ეტლში, რომელშიაც ებნენ ექვსი თეთრი ცხენი, პატრიარხის ეტლს ახლდნენ ოთხი ცხენოსანი მეჯინიბე და საჯინიბოს აფიცერი.

მათი უდიდებულესობა დიდს სასახლეში ინახულა პატრიარხმა. აუდიენცია 20 წამს განეგრძო. შემდეგ მათს იმპერატორებითს უდიდებულესობას წარუდგა პატრიარხის ამალა.

ნაშუადღევის ორ საათზედ პატრიარხისათვის სამარხვო საუზმე იყო მომზადებული. საუზმის შემდეგ პატრიახი იმავე გზით და ამბით დაბრუნდა პეტერბურგს.

2 ივნისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფემ და დედოფალმა ინახულეს პეტერგოფის დიდ სასახლეში სომეხთა უზენაესი პატრიარქი კათალიკოსი და იმისი ამალა. პატრიარქმა მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს ტახტზედ აბრძანება და მოახსენა გრძნობანი მადლობისა და ერთგულებისა ყველა სომეხთა მაგიერ. ხელმწიფე იმპერატორმა კმაყოფილება და მადლობა განუცხადა მისს უწმიდესობას ნახვისათვის.

**მადრიდი,** 1 ივნისი. იმ კვირაში კუბის კუნძულზედ 10 ათას კაცს ლაშქარს გზავნიან. თუ საჭიროება მოითხოვს 40 ათას კაცს კიდევ მიაშველებენ.

**იოკაჰამა,** 1 ივნისი. ოფიციალურად აუწყებენ „ტაიმს“, რომ ფორმოზის კუნძულზედ სრული მშვიდობიანობა დამყარდა. წესიერებას იაპონიის ჯარი იცავს. იაპონელთა მმართველობა ოფიციალურად შევიდა ძალაში.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

# ცისკრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის;

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . | „ | 40 |
| ბუნების კარი ... ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ...სრამიანი. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფისჰ-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა,

**ბ. მ. მირიმანიანისა,**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—14)

# „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „Иверія“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ რიცხვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 სტრ. გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმვლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათმდე.

რედაქციის ადგილი: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველგვარი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერის პირველს წელშივე დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის სადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალილოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—›)

Дозволено цензурою, Тифлисъ 2-го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე